სახელი და გვარი: გიგი წიკლარული

კლასი: XI

სკოლა: ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

სათარური: ტოლერანტული საზოგადოება საყოველთაო პროგრესის საწინდარია

“ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება’ ასე მოგვიწოდებს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი. პიროვნება არის ადამიაბი, ინდივიდი თავისი ღირებულებებით, იდეებით, მოსაზრებებით და მისწრაფებებით. ეს ყველაფერი მის ქცევას განაპირობებს და განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში. კონფლიქტი სულ იყო ადამიანებს შორის, ეს იქნება რელიგიაზე, პოლიტიკურ შეხედულებებსა თუ კულტურაზე. ასევე იყო უამრავი შემთხვევა ასეთი ხალხის დევნის და დისკრიმინაციის შესახებ. სამწუხაროდ მე არ შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი შემთხვევები დღეს არ არის. თუმცა, დღეს დღეობით, ეთნიკური უმცირესობების დისკრიმანაცია არ ეფარდება ჩვენს ურთიერთობესადა პატივისცემაზე დამყარებული მეგობრობას. სწორედ საქართველო გამოირჩევა თავისი მიმღებლობით და ტოლერანტობით. არამარტო ახლა არამედ ისტორიაც გვამცნობს რამდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოში მცოხვრები ეთნიკური უმცირესობები და რამდენად დაცულები იყვნენ ისინი.

რელიგია მუდამ იყო მიზეზი დევნისთვის და დისკრიმინაციისთვის. ისტორიაში ყველაზე ცნობილი მაგალითი არის ესპანური “წმინდა” ინკვიზიცია. იგი დაიწყო XIII საუკუნეში პირველი ტრიბუნალით და გრძელდებოდა XV საუკუნემდე. ინკვიზიცია იყო იარაღი რომელსაც ესპანელი სამეფო ხელისუფლებისა და კათოლიკური ეკლესიის მუდმივი გამოსავალი, როგორ დაესაჯათ ყველა ის პიროვნება, რომელიც მათ ეწინააღმდეგებოდა. მათ შორის იყვნენ მუსლიმები და ებრაელებიც. ამ უდანაშაულო ხალხს აიძულებდნენ შეეცვალათ რელიგია. თუ არ დაემორჩილებოდნენ მაშინ ან აძევებდნენ ან სიკვდილით სჯიდნენ. ვარაუდობენ რომ ინკვიზიციას შეეწირა 200 000-ზე მეტი უდანაშაულო პიროვნება. ეს არის ისტორიაში ყველაზე მაშტაბური და ექსტრემალური მაგალითი მუსლიმების დევნასთან დაკავშირებით. ამ მოვლენებზე ორი საუკუნით ადრე, საქართველოში, დავით აღმაშენებელმა გაატარა რამდენიმე რეფორმა მუსლიმებთან დაკავშირებით: არ შეიძლებოდა მუსლიმების უბანში ღორის ხორცის გაყიდვა ან დაჭრა, ასევე მათი დისკრიმინაცია და დევნა. ასევე ისტორიკოსების თანახმად აღმაშენევბელი ყოველ პარასკევს მეჩეთში ლოცვას ესწრებოდა და

წასვლისას დიდძალ ოქროს წირავდა. უფრო მეტიც, თუ მუსლიმს თბილისიდან წასვლა უნდოდა, სამგზავრო ფულს აძლევდნენ. ისიც კი დაასკვნეს, რომ საქართველოს მეფეები „მაჰმადიანებს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე თვით მუსლიმანთა ხელმწიფენი“. მაჰმადიანების პატივისცემა ჯერ კიდევ გრძელდება. თბილისში არის ერთერთი მეჩეთი სადაც სუნიტებს და შიიტებს ერთად შეუძლიათ ლოცვა.

საქართველო ასევე გამოირჩეოდა ებრაელების მიმართ ტოლერანტობით. საკმაოდ ღრმა და დიდი ისტორია გვაქს ებრაელებთან. მე მინდა გამოვკვეთო ის პერიოდი, როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და შეურთდა რუსეთის სამეფოს. 70-იან წლებში რუსეთის ადმინისტრაციამ სცადა საქართველო გადააქცია ანტესემიტური აქციების პოლიგონად (საჩხერეს ებრაელთა საქმე, შემდომში კი მრავალრიცხოვანი ანტისემიტური ექსცესები დასავლეთ საქართველოში, დაგეგმილი და განხორციელებული ცარისტული უშიშროების სამსახურების მიერ). მიუხედავად ამ ხელოვნურად დანერგილი კონფლიქტების მცდელობებისა, ქართველი ხალხი განსაკუთრებულ ტოლერანტობას ინარჩუნებდა მათი მეზობელი ებრაელების მიმართ. უფრო მეტიც, ქართველი ინტელიგენცია შეუპოვრად ამხილებდა ამ მცდელობებს და ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის წერილები, სადაც სჩანს, რომ ამ უდიდესმა მოაზროვნემ ნახევარი საუკუნით ადრე განსჭვრიტა და იწინასწარმეტყველა ევროპელი ებრაელების კატასტროფა.

ყველაზე ახალი მაგალითი ქართვული ტოლერანტობის და სტუმართ-მასპინძლობის არის უკრაინასთან დაკავშირებით. რუსეთის და უკრაინის დაწყების შემდეგ თავშესაფარი საქართველოში იპოვეს. გაეროს 2023 წლის მაისის მონაცემით, საქართველოში 24 180 უკრაინელი იმყოფება. თვითონ უკრაინელები გვიხდიან მადლობას და ამბობენ რომ ჩვენ მათ გაშლილი ხელებით შევხვდით. ერთად შევქმენით მოხალისეთა ფონდები, რომლის მეშვეობით აგროვებენ მედიკამენტებს და რესურსებს რათა დეევხმაროთ ომში ოკუპანტების წინააღმდეგ. იმისი აღნიშვნაც კი არ მგონია საჭირო, რომ დედაქალაქში აუცილებლად შეხვდებით უკრაინის დროშას. ჩვენი სკოლის წინაც კი ფრიალებს ქართული დროშის გვერდით.

მე ვსწავლობ ამერიკულ სკოლაში სადაც ქართველებთან ერთად ძალიან ბევრი უცხოელი მოსწავლეცაა. ეს მოსწავლეები კი მარტო ერთი ქვეყნიდან არ არიან. ბევრი

მუსლიმი, ებრაელი და ქრისტიანია. ამის მიუხედავად დაპირისპირებები ძალიან იშვიათია, მითუმეტეს რელიგიის, კულტურის ან განსხვავებული იდეების გამო. სამაგიეროდ ძალიან ბევრი მოსწავლე დაინტერესებულია მათი კულტურით და ტრადიციებით. ხშირად გამიგონია საუბარი ტრადიციულ საჭმელზე, ღირებულებებზე და ა.შ. მაგრამ, ყველაზე მეტად რაც მახარებს და მსიამოვნებს, არის როგორ იცავენ ქართველი მოსწავლეები უცხოელი მოსწავლეების ინტერესებს და უფლებებს. ზოგჯერ ვკამათობთ სხვადასხვა საკითხზე,მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა არ გადაგვეჭრა დიალოგის მეშვეობით. ჩემი აზრით,ტოლერანტობა შემწყნარებლობა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მქონე ადამიანებისადმი უმცროსი ასაკიდანვე ისწავლება. ადამიანებს უნდა მიცვეთ საშუალება რომ თვითონ მიხვდენ რამდენი საერთო აქვთ,მხოლოდ ასე მივაღწევთ პროგრესს. ძალიან მიხარია რომ თბილისში არის სკოლა პროგრესი, სადაც გარდა მაღალი განათლებისა, ბავშვებს შანსი აქვთ თვითონ გაიაზრონ ის ღირებულებება რომელსაც ტოლერანტობას ვეძახით.

ტოლერანტობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ის ბევრ რამეს მოიაზრებს: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პატივისცემას, დიალოგის და თანაშრომლობის აუცილებლობას. საქართველო კი მუდამ გამოირჩეოდა თავისი ტოლერანტობით. სადაც ევროპის ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის ხალხი იდევნებოდა, საქართველო ყოველთვის პატივს სცემდა მათ, იცავდა მათ ინტერესებს და დაცულად აგრძნობინებდა თავს. საჭიროდ ვთვლი რომ უნდა გავიხსენოთ ეს ისტორიები, დავისახოთ მაგალითად და კვლავ შემოვიტოვოთ, როგორც ჩვენი კულტურის ნაწილად. მე სიამაყით ვივსები, როცა შემიძლია ვუთხრა ჩემს უცხოელ მეგობრებს, ჩემი ქვეყანაზე, რომელიც ვიცი, ისე მოეპყრობა მათ, როგორც მე.

- მეტრეველი, როინ (2011). წმინდა დავით აღმაშენებელი.
- სამუშია, ჯაბა (2015). საქართველოს ილუსტრირებული ისტორია, ტ. 6 – დავით აღმაშენებელი.